

დაურღვეველი კავშირი ქართულ ტერიტორიასა და ქართულ ერს შორის

(1902 წელი)

მოგეხსენებათ, რომ ბუნება და ადამიანი ერთმანეთზე განუწყვეტლად მოქმედობენ. ადამიანს ბევრგვარი ცვლილება შეაქვს ბუნებაში, ვიდრე არ დაამყარებს შესაძლო ჰარმონიას მისსა და თავის მოთხოვნილებათა შორის. ბუნებაც მძლავრად მოქმედობს ადამიანზე და სცვლის მას იქნამდინ, ვიდრე მეტ-ნაკლებობით არ დაიმსგავსებს მას. ამის გამო, ადამიანს სხვადასხვა თესლთა შორის იმდენივე განსხვავებაა, რამდენიც სხვადასხვა ქვეყნების ბუნებათა შორის. კერძოდ, ცხელი ქვეყნების მკვიდრნი იმდენადვე განირჩევიან ცივის ქვეყნების მკვიდრთაგან, რამდენადაც სიცხე განსხვავდება სიცივისაგან.

დიაღ, დიდი, მჭიდრო კავშირით არიან შეხორცებულნი ერთმანეთთან სამშობლო ქვეყანა და მისნი მკვიდრნი. ეს კავშირი მით უფრო ძლიერია და მტკიცე, რამდენიც უფრო დიდ ხანს სცხოვრობს ხალხი ერთსა და იმავე მიწა-წყალზე.

დედანიწაზე ძლიერ ძნელად მოიპოვება იმისთანა კუთხე, სადაც მიწა-წყალი და მისნი მცხოვრებნი ისე მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან შეკავშირებულნი, როგორც ეს არის ჩვენს სამშობლო ქვეყანაში. ქართველი სავსებით იფურჩქნება სულიერად და ხორციელად მხოლოდ საქართველოში: მხოლოდ აქ მოძრაობს მისი სისხლი ჯეროვანი სისწრაფით, მხოლოდ აქ სარგებლობს იგი სრული სისალით, მხოლოდ აქ მრავლდება იგი დაუბრკოლებლივ, მხოლოდ აქ ბედნიერდება იგი საღი ჩამომავლობით, მხოლოდ აქ ეღირსება ხოლმე სულს სიტკბოებას, მხოლოდ აქ შეჰხარის იგი სიცოცხლეს სრული სიხარულით, იჩენს სრულს ხალისს სიცოცხლისას. უცხოეთში კი იგი საოცარი სისწრაფით იჩაგვრება სულითაც და ხორცითაც, ჭკნება, უკან-უკან მიდის, გადაშენების და ამოფხვრის გზაზე სდგება.

მრავალი ფაქტი ცხადჰყოფს ამ საამაკო კავშირს.

ჩვენი სამეფო სახლი - ბაგრატიონთა გვარეულობა - საოცარის სისწრაფით მრავლდებოდა საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ ბევრნი წევრნი ამ გვარეულობისანი უდრო-უდროოდ ესალმებოდნენ წუთისოფელს დაუსრულებელი ომიანობის გამო. წარსულს საუკუნის დამდეგში ამ სახლობის წევრთა რიცხვი სამოცს აღემატებოდა. პოლიტიკურის ჩარხის უკუღმა დატრიალებამ ეს მრავალრიცხოვანი გვარეულობა გადაასახლა მთლად რუსეთში. და რა მოხდა? თითქმის მთელი გვარეულობა ერთის საუკუნის განმავლობაში გაქრა.

მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს ქართველი იძულებული იყო გასცლოდა დაუძინებლის მტრების ნავარდობას საქართველოში, მოშორებოდა სამშობლო ქვეყანას და გადასახლებულიყო რუსეთში. ეს გადასახლებულნი გვარეულობანი თავისას შფოთიანს სამშობლოში დიდად მრავლდებოდნენ, წინააღმდეგ აუთანელის პოლიტიკურის მდგომარეობისა, და სრული იმედი ჰქონდათ, რომ მყუდრო რუსეთში მათზე აცხადდებოდა

კურთხევა ღვთისა აბრამზე, და ისინი გამრავლდებოდნენ, როგორც ქვიშანი ზღვისანი, მაგრამ საშინლად მოსტყუვდნენ. ეხლა რუსეთში მათი ჩამომავალნი სანთლით უნდა ეძებო, რომ თითო-ოროლა აქა-იქ აღმოაჩინო.

თვით ჩრდილო კავკასიაში გადასახლებულნი ქართველები თითქმის ყველა ადგილებში იჩაგრებოდნენ და იჩაგრებიან ბუნებისაგან, ჰკარგავდნენ და ჰკარგავენ სიმრთელესა, ვერ მრავლდებიან, ვერ იძენენ ქონებასა, იქაურ მცხოვრებლებზე ბევრად უარესად სცხოვრობენ და უდრო-უდროოდ ესალმებიან წუთისოფელსა, როგორც ამას მოწმობენ მრავალნი კორესპონდენციები წინანდელი და ახლანდელის დროისა სპარსეთში გადასახლებული ქართველებიც, როგორც ეს ცხადად სჩანს საწყალის ბ-ნი აღნიშვილის მგზავრობიდგან სპარსეთში.

თუ ყურადღებას ვათხოვებთ იმ ქართველ ჩინოვნიკების მდომარეობას, რომელთათვისაც ბედს სამსახური რუსეთში ურგუნებია, აქაც აღმოჩნდება, რომ უცხო ბუნება ამათაც ხეირს არ აყრის არც სულიერად და არც ხორციელად, ჩამომავლობას ეჩაგრებათ და გადაშენების გზაზე სდგენიან, აქ მხნე ქართველი იქ, რუსეთში, სიზარმაცეს ეჩვევა; აქ ჰკვიანი იქ გაფანტულს არსებას წარმოადგენს; აქ ფხიზელი, იქ ლოთობაში იკლავს თავს; აქ რიგიანი, იქ ბანქოს თამაშში ათენებს ღამეებს; აქ საღი შვილების პატრონი, იქ ამრავლებს ჭიანს ჩამომავლობას. გამოიკითხეთ დაწვრილებით რუსეთში მყოფი ქართველის მოხელების ამბავი და თქვენ დრაწმუნდებით, რომ ჩვენ გადაწარბებით არაფერს ვამბობთ.

წარსულს წელში სატახტო რუსულს გაზეთში ერთი ყოვლად საოცარი ამბავი იქმნა გამოქვეყნებული. ქართველ ჯარისკაცებს, რომელნიც რუსეთში იქმნენ გადაყვანილნი, თურმე მრავალი ტილი დაეხვიათ სრულიად უმიზეზოდ. ექიმები გაოცებიდგან იყვნენ გამოსულნი და ვერაფრით აეხსნათ ეს უცნაური მოვლენა. ქართველებს ისევე სუფთად ინახავდნენ და ისევე კარგად აჭმევდნენ, როგორც რუს სალდათებსა; მაგრამ უკანასკნელებზე არც ერთი მკბენარი არ მოიძებნებოდა, პირველებს კი ტილები სჭამდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ. ბოლოს ექიმები იმ აზრს დაადგნენ, რომ სამშობლოს მოშორებას და უცხო ქვეყანაში ყოფნას ქართველ სალთადების ნერვები დაუსუსტებია, მოუშლია, დაუსნეულებია და ამის გამო დაჰხვევიათ მათ მკბემნარიო. აი, ფრიად მღალაღებელი ფაქტი!

ჩვენ შეგვეძლო ამასთან ფაქტებით ვეებერთელა წერილი გაგვევსო, მაგრამ ნათქვამიც საკმარისად მიგვაჩნია იმ აზრის გასამართებლად, რომ ქართველებსა და საქართველოს შორის მეტად ინტენსიური, შინაგანი კავშირი არსებობს და ამ კავშირის გაწყვეტა მეტად მავნებელია ქართველობისათვის.

მთავარი მიზეზი ამ ინტენსიურის კავშირისა უნდა იყოს ისა, რომ ქართველები უხსოვარის დროიდან დასახლებულან საქართველოში და ისე შესთვისებიან მას, ისე შესისხლხორცებიან, რომ მის გარეშე არ ძალუძთ ადამიანური არსებობა და აღორძინება. როგორც მკითხველს კარგად მოეხსენება, ჩვენის დროის-განთქმული ისტორიკოსების აზრით, უძველესის დროის ქეტეველნი (хетты), რომელნიც ეგვიპტის ფარაონებს მსოფლიო ბატონობაზე ეცილებოდნენ

და ხანდახან კიდევ სძლევდნენ, და ურარტელნი, რომელთაც დასტოვეს სახელოვანი ვანის ლურსმანებრივი წარწერები და პირველად ააფრიალეს კაცობრიობის ისტორიაში დროშა კაცთმოყვარეობისა მტერთა შესახებ, იყვნენ ძველი ქართველნი, წინაპარნი იმერთა და ამერთა.

აი, სწორედ ამ მეტად ხანგრძლივი ინტენსიური კავშირით აიხსნება ის მოვლენა, რომ ქართველებს ძალიან ეძნელებოდათ ცხოვრება და სამსახური რუსეთში, რის გამოც პატარა თანამდებობა ურჩევნიათ საქართველოში დიდს თანამდებობას რუსეთში. ცილისმწამებლები კი მზად არიან დაინახონ ამ ფაქტში ვიწრო ნაციონალიზმი.

რას გვასწავლებს და რა სახელმძღვანელო აზრს გვაძლევს ნათქვამი? იმას, რომ ქართველობამ ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს, რათა სავსებით შეინარჩუნოს თავისი მიწა-წყალი, და არამც თუ შეინარჩუნოს, დაიბრუნოს ინ ნაწილებიც ჩვენის ქვეყნისა, რომელნიც მათ ხელითგან გამოაცალა დროთა უკუღმართმა ტრიალმა. დასავლეთის უმამულო გლეხობა და აზნაურობა ჩრდილო კავკასიაში კი არ უნდა გადასახლდნენ, გზა უნდა გაიკვლიონ შავი ზღვის ნაპირისკენ, ბათუმისა, ახალციხისა, ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრებისკენ. აქ ყველგან საქართველოა და ყოველი ქართველი ისევე კარგად იგრძნობს თავს, როგორც საკუთარ სამშობლოში, ამ გადასახლებას უმამულო ქართველებისას თავისი კუთხიდგან სხვა ქართულს კუთხეში ერთი უდიდესი სიკეთეც თან სდევს: სხვადასხვა კუთხის ქართველების დამოყვრება მეტად ეხმარება ჩამომავლობის გაუკეთესოებასა, რაც უკვე აღვნიშნეთ ერთს ჩვენს წინანდელს წერილში. თბილისის სასწავლებლებში უფრო მეტს ნიჭს და წარმატებას იჩენენ, რომელნიც დიდით ამერნი არიან და მამით იმერნი. ქუთაისშიაც უფრო კარგად სწავლობენ ის მოწაფეები, რომელთაც მამა ჰყავთ ამერნი და დედა იმერი.

ამ სახით, ჩვენის აზრის განხორციელება არა მარტო შეარჩენს ქართველებს საქართველოს ტერიტორიას, არამედ ძლიერ დაეხმარება ესრედ წოდებულს რასის გაუმჯობესებასაც, რაშიაც ქართველობა ნაკლებად არა საჭიროებს, ვიდრე სხვა ხალხები.